წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 27

ქ. წალკა; 18.10.2023 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ ვანაძე, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის" თავმჯდომარე ასლან მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 13:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 13:20 საათზე;

დღის წესრიგი:

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მომართვა „ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის" პროექტის ფარგლებში, თეთრიწყარო - წალკის სარკინიგზო უბნის დერეფანში მშენებლობისათვის საჭირო წალკის მუნიციპალიტეტში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე.

სხდომამ განიხილა:

სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მომართვა „ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის" პროექტის ფარგლებში, თეთრიწყარო - წალკის სარკინიგზო უბნის დერეფანში მშენებლობისათვის საჭირო წალკის მუნიციპალიტეტში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების

სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე. რის შემდეგაც გააცნო აღნიშნული მომართვა. ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის თანახმად დაევალოთ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას და საკრებულოს ფრაქციებს განიხილონ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მომართვა ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის პროექტის ფარგლებში, თეთრიწყარო - წალკის სარკინიგზო უბნის დერეფანში მშენებლობისათვის საჭირო წალკის მუნიციპალიტეტში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე და არაუგვიანეს მ/წლის 8 ნოემბრის ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები საკრებულოს აპარატში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი*